სსიპ კოლეჯ "სპექტრში" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელის“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე
წევრები:
ლელა სამხარაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ''სპექტრი''

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 208183605

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 05/07/2024 MES 3 24 0000813631 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა სსიპ კოლეჯ "სპექტრში". ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 18 ივლისს (ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. No10).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, შედგა ჯგუფის წევრების შეხვედრა, სადაც განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, ადმინისტრირების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა.

შედგა შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან,პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სასწავლო საწარმოს წარმომადგენელთან.

ვიზიტის დროს დათვალიერდა საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელის“ მატერიალური რესურსი, სასწავლო გარემო. მათ შორის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგების მექანიზმების განხილვა, საგანმანათლებლო რესურსის არსებობის შესწავლა,

შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების მიდგომები.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი და შესაბამისობის გეგმა, რომლის გათვალისწინებით დაკორექტირდა დასკვნა.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია: ინდიკატორი 2.2.1.7 დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული აქტივობის შესრულება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში 30.11.2024 მდე..

შესაბამისობის რეკომენდაცია: ინდიკატორი: **2.4.2.1.** დაწესებულებამ უზრუნველყოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის“ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(30.08.2024 მდე.)

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.4.4.2 რეკომენდებულია კოლეჯმა განახორციელოს ვერიფიკაციის პროცესი, რაც საშუალებას მისცემს კოლეჯს შეაფასოს რამდენად გამართული, ვალიდური, სანდო, მოქნილი და გამჭვირვალეა შეფასების სისტემა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	„რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელის“
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	02 ივლისი 2024 ბრძანება N261
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	რეალურ სამუშაო გარემოში -დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30 დუალური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	119

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	10
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელის“ განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასწავლო საწარმოს სტატუსის მქონე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან „ინსი“(ს.კ.206278516) რომელსაც სასწავლო საწარმოს სტატუსი მინიჭებული აქვს პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით N MES6240000773260(„დაინტერესებული საწარმოებისათვის სასწავლო საწარმოს სტატუსის მინიჭების შესახებ”28/06/2024) მას მიენიჭა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, დუალური სწავლების ფორმით, საგანამანათლებლო პროგრამის - „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ („სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული დეტალური სფერო - რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება, კოდი 0732.3.8) განხორციელების უფლება სასწავლო საწარმოს სტატუსით 6 წლის ვადით. კვოტა განესაზღვრა 10 პროფესიული სტუდენტით. საქართველოს მთავრობის დადგენილება №416 (2022 წლის 9 აგვისტო) თანახმად (მუხლი 8) პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების ჯამს. აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას რომელიც დაწესებულების განაცხადში მითითებულია 30 პროფ.სტუდენტი, ხოლო სასწავლო საწარმოსთან დადებულ ხელშეკრულებაში 15. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია პასუხისმგებელ პირებთან. დაწესებულებამ უზრუნველყო ხელშეკრულების ცვლილება და დაკორექტირდა ზღვრული რაოდენობა 10 სტუდენტზე.

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.** კოლეჯის მისიაა „ სასწავლებლის მომსახურებით დაინტერესებულ ყველა პირს მიაწოდოს პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის მომსახურება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ამით შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული თვითრეალიზაციისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე.” სტრატეგიული განვითარების გეგმა(2019-2025) ემსახურება მისიის აღსრულებას და ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია “კოლეჯის მომსახურების საზღვრების გაზრდა” რომლის ერთ ერთი ამოცანაა კოლეჯის მომსახურების დაფარვის სფეროს გაფართოება რაც გულისხმობს ერთობლივი პროგრამების განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება ჩართულიყო ახალი პროგრამის განხორციელებაში დუალური მიდგომით.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (სრული ზოგადი განათლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ასაკი 18 წელი) განსაზღვრულია დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „რკინა ბეტონის სამუშაოთა შესრულება“

პროგრამაში „**რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება**“ მითითებული იყო, რომ „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“ ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ 152/ნ ბრძანება ძალადაკარგულია, კოლეჯმა განახორციელა ცვლილება პროგრამაში და გამოასწორა ხარვეზი.18 ივლისის N193 ბრძანებით.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; კერძოდ: დირექტორის 2018 წლის 14 მარტის N 145 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია რომელშიც კოლეჯმა შეიტანა ცვლილეები 2024 წლის 2 ივლისს N267 ბრძანებით.აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობი სგაანგარიშებისას გასათვალისწინებელი გარემოებები. წესის თanახმად სტუდენტთა კვოტა თითოეული პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

ა. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემოს რაოდენობა/გამტარობა;

ბ. მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების რაოდენობა;

გ. საწარმოო პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის რაოდენობა და სტუდენტების ერთდროულად მიღების რესურსი;

ერთიდაიგივე საწარმოო პრაქტიკის მოდულზე ერთდოულად გასაგზავნი სტუდენტების ჯამური მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის ჯამურ რესურსს - ერთდოულად მისაღები სტუდენტების ჯამური რაოდენობას.

ერთი საწარმოო პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდროულად მისაღები სტუდენტების რაოდენობის შესახებაც ინფორმაცია უნდა აისახოს საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში/მემორანდუმში..

დ. პროგრამის ხანგძლივობა.

მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა ცვლებში მუშაობის შესაძლებლობა, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი და სხვა.

დუალური პროგრამის განსახორციელებლად მხედველობაში მიიღება სასწავლო საწარმოს შესაძლებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულება სასწავლო საწარმოსთან შპს ინსი. აღნიშნულ ხელშეკრულებაში (28.06.24) პროფესიულ სტუდენტთა კვოტა მითითებული იყო 15 პროფ. სტუდენტი, ხოლო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადში ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული იყო 30 პროფ. სტუდენტი, რაც ეწინააღმდეგებოდა კოლეჯის ზღვრული ოდენობის გათვლის პრინციპებს და აღნიშნული რაოდენობები ასევე აღემატებოდა შპს ინსისათვის მინიჭებულ უფლებას, ვინაიდან აღნიშნულ ორგანიზაციას მოპოვებული აქვს სასწავლო საწარმოს სტატუსი 10 პროფესიული სტუდენტის კვოტით. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა წარმოდგენილ კვოტას

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ექსპერტთა შეფასებით კვოტა განისაზღვა 10 პროფესიული სტუდენტით. კოლეჯმა წარმოადგინა დაკორექტირებული ხელშეკრულება, სადაც მიეთითა კვოტა 10 პროფესიული სტუდენტი.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დარგის ექსპერტის მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი, რომლის ფაქტობრივი ფლობაც გადამოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკაში. წარმოდგენილი რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, მოდულით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია შესაბამისი წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს ვინაიდან პროგრამა ხორციელდება დუალური სწავლების ფორმით და იმ მოდულებისთვის, რომლებიც სრულად ან პრაქტიკული კომპენენტის განხორციელებას ითვალისწინებს სამუშო გარემოში, რესურსად შესაბამისად გათვალისწინებულია სასწავლო საწარმოში არსებული რესურსიც. დარგის ექსპერტის შეფასებით ერთი შედეგი არ იფარებოდა და დაწესებულებამ უზრუნველყო შესაბამისი სახელმძღვანელოს მობილიზება

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. კერძოდ: სსიპ კოლეჯი სპექტრის დირექტორის ბრძანებით (2021 7 აპრილი N15-ა,)დამტკიცებულია კოლეჯ სპექტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულების შემუშვების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი(შეტანილია ცვლილება 2 ივლისი 2024 N51-ა), რომლის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია - კოლეჯის დირექტორი (მუხლი 2 პუნქტი 5,6.) შესაბამისად, პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ სპექტრის დირექტორის ბრძანებით. (2 ივლისი 2024 N261.)

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7.**პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.** კერძოდ: პროგრამის სახელწოდება - „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ სრულ შესაბამისობაშია მისაღწევ სწავლის შედეგებთან, საგანმანათლებლო სტანდარტთან, პროფესიულ სტანდარტთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია დამტკიცებული საგანამანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, რომლის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულებაში. პროგრამის სწავლის შედეგებად განსაზრვრულია, რომ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს : • დაიცვას რკინაბეტონის სამუშაოების წარმოების წესები და უსაფრთხოების პრინციპები; • წაიკითხოს რკინაბეტონის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; • განახორციელოს საყალიბე სისტემების მონტაჟი და დემონტაჟი (განყალიბება); • განახორციელოს რკინაბეტონის კონსტრუქციების არმირება; • განახორციელოს ბეტონის ნარევის ჩაწყობა და მოვლა; • მოაწყოს ბეტონის იატაკი; • ზედამხედველობა გაუწიოს რკინაბეტონის სამუშაოების შემსრულებელთა მუშათა რგოლს

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ვერსია № და თარიღი - №3
- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესი;
- პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროფესიის სტანდარტი - რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი (მეყალიბე, მეარმატურე, მებეტონე) 07.1;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO – 2008);
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED – 2013);
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯი სპექტრის დირექტორის ბრძანებით (2021 7 აპრილი N15-ა,)დამტკიცებულია კოლეჯ სპექტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოდულების შემუშვების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი(შეტანილია ცვლილება 2 ივლისი 2024 N51-ა),
- კოლეჯის მისია და სტრატეგიული გეგმა https://www.spectri .org/index.php/hom e/misia
- პროფესიული საგანმანათლებლ ო პროგრამის მიზანშეწონილობ ის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი
- პროგრამის დამტკიცების აქტი და საგანმანათლებლ ო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი,მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამების შემუშავების, ცვლილების შეტანა და გაუქმების წესი; სსიპ კოლეჯ სპექტრის დირექტორის ბრძანება N 51 ა 2024 წლის 2 ივლისის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტა) განსაზღვრის მეთოდოლოგია სსიპ კოლეჯი სპექტრის დირექტორის ბრძანება №267 2 ივლისი 2024
- ცვლილება პროგრამაში „**რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება**“ 18 ივლისის N193 ბრძანებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ განხორციელების მისამართია: ქ. თბილისი, ბ. ჭიჭინაძის ქ. N10. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია რამდენიმე გარემო. ერთი დარგობრივი ინტეგრირებული AC გარემო რომელიც აღჭურვილია გარკვეული პროფესიული ინვენტარით მოდულებისთვის მოდულებისთვის, A გარემო, რომელიც სრულადაა აღჭურვილი ამ გარემოსათვის საჭირო ინვენტარით, მერხებით და სკამებით, მასწავლებლისთვის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, სამუშაო ადგილები პროფესიული სტუდენტებისთვის და B გარემო, სადაც განხორციელდება კომპიუტერული პროგრამის სწავლება. B გარემოში განთავსებულია სამუშაო ადგილი და კომპიუტერის კომპლექტი 20 პროფესიული სტუდენტისთვის, ასევე 1 სამუშაო ადგილი და 1 კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 პრინტერი/კომბაინი, 1 პროექტორი.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული B გარემო გამოიყენება სხვა პროგრამებისთვისაც, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა აუდიტორიის გამტარობის საკითხით. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა და დირექტორის მოადგილემ განაცხადეს რომ აუდიტორიის დატვირთვა სხვა ჯგუფებისათვის დაბალია და ხელს არ შეუშლის მოდულის რკინაბეტონის სამუშაოების საპროექტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაცია“ განხორციელებას. დაწესებულების მიერ აუდიტორიების დატვირთვა ვერ იქნა წარმოდგენილი აუდიტორიების გამტარობის დასადგენად.

გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ მოდული „რკინაბეტონის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია“ სწავლის შედეგი 2 – მარტივი კვანძების და დეტალების კომპიუტერული პროგრამით გამოხაზვა , განხორციელდება კომპიუტერული პროგრამა AutoCAD-ს სწავლებით. აღნიშნული პროგრამა დაზუსტდა **18ივლისის ბრძანება 293, ვინაიდან წარმოდგენილ პროგრამაში არ იყო დაზუსტებული თუ რომელი პროგრამების სწავლება განხორციელდებოდა, მითითებული იყო როგორც სარეკომენდაციო ჩანაწერი.** პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით შემოწმებისას დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა წაშლილი ჰქონდა კომპიუტერებში. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ უზრუნველყო კომპიუტერებში კომპიუტერული პროგრამის AutoCAD ჩატვირთვა, რაც გადამოწმდა და დადასტურდა ექსპერტთა მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ განხორციელება დაგეგმილია დუალური მიდგომით. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულებას პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელის“განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასწავლო საწარმოს სტატუსის მქონე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან „ინსი“(ს.კ.206278516) რომელსაც სასწავლო საწარმოს სტატუსი მინიჭებული აქვს პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით N MES6240000773260(„დაინტერესებული საწარმოებისათვის სასწავლო საწარმოს სტატუსის მინიჭების შესახებ”28/06/2024) მას მიენიჭა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, დუალური სწავლების ფორმით, საგანამანათლებლო პროგრამის - „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ („სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული დეტალური სფერო - რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება, კოდი 0732.3.8) განხორციელების უფლება სასწავლო საწარმოს სტატუსით 6 წლის ვადით. შპს „ინსს“ კვოტა განესაზღვრა 10 პროფესიული სტუდენტით. საქართველოს მთავრობის დადგენილება №416 (2022 წლის 9 აგვისტო) თანახმად (მუხლი 8) პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობების ჯამს. აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას რომელიც დაწესებულების განაცხადში მითითებულია 30 პროფ.სტუდენტი, ხოლო სასწავლო საწარმოსთან დადებულ ხელშეკრულებაში 15.აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია პასუხისმგებელ პირებთან. დაწესებულებამ უზრუნველყო ხელშეკრულების ცვლილება.წარმოდგენილ ხელშეკრულებაში კვოტა განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის „რკინაბეტონის სამუშაოების წარმოების წესები და უსაფრთხოების პრინციპები“, რომელიც ხორციელდება კოლეჯში, სწავლის შედეგების მიღწევისთვის დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსის შემოწმებისას(ადგილზე დათვალიერებისას, გათვალისწინებული რესურსიდან ადგილზე არ დაფიქსირდა შემდეგი:

- AED Trainer გარეგანი ავტომატური დეფიბრილატორი
- EMS-ის ნაკრები
- არტაშანი - ზედა და ქვედა კიდურის
- ფონენდოსკოპი სტანდარტული
- არტერიული წნევის საზომი აპარატი - მაჯის / მკლავის ელექტრო ან მექანიკური ციფრული სვეტით.
- მაკრატელი - არასაოპერაციო
- თერმომეტრი - სამედიცინო თერმომეტრი, ვერცხლისწყლით ან ელექტრო
- ამბუს ნიღაბი
- ლახტი - ნებისმიერი ტიპის
- ფანარი - ნებისმიერი ტიპის
- წამზომი - ნებისმიერი ტიპის
- სახანძრო საბანი
- ცეცხლსაქრობი (კარბონ დიოქსიდი)

დაწესებულებამ წარმოადგინა გარკვეული რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ 2018 წ. 28 სექტემბერს შპს პი.ემ.ჯი-სთან გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტი N354/1,რომელშიც ფიქსირდება, რომ 2018 წელს შეძენილია 2 (ორი) ცალი გარეგანი ავტომატური დეფიბლიატორი (AED), ფონენდოსკოპი სტანდარტული, არტერიული წნევის საზომი აპარატი, ლახტი თუმცა აღნიშნული ადგილზე არ იყო.

დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი დახარვეზდა, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები, შესყიდვის დოკუმენტაცია და ფოტომასალა.

ინდიკატორი 2.2.1.1შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამას ახლავს დანართი 1(ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ) დანართის თანახმად ყავს შვიდი ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირი, ხოლო ორი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი.მესამე დარგის პექციალისტი დაემატა ვიზიტის დროს. აღნიშნული ორი დარგის სპეციალისტიდან ერთ ერთს არ დაუდასტურდა დარგობრივი კომპიუტერული პროგრამის”ავტოკადი” სწავლების კომპეტენცია, შესაბამისად ამ კომპონენტს განახორციელებდა მხოლოდ ერთი პირი, რაც ვერ უზრუნველყოოფდა განხორციელების მდგრადობას. აღნიშნულთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს ქონდა კომუნიკაცია როგორც განმახორციელებელთან, რომელიც ამავდროულად არის პროგრამის ხელმძღვანელიც,ასევე ადმინისტრაციასთან. ვიზიტის მსვლელობისას კოლეჯმა დამატებით წარმოადგინა ამ კომპონენტისათვის განმახორციელებელი პირი, რომლის პირადი საქმეც შესწავლილ იქნა ესპერტთა ჯგუფის მიერ და მას დაუდასტურდა შესაბამისი კომპეტენცია.

ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და განმახორციელთა განცხადებები.შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხელშეკრულებები ვერ აკმაყოფილებდა შრომის კოდექსით გათვალისწინებულ არსებით პირობებს. კოლეჯმა დამატებით წარმოადგინა წინარე შეთანხმებები განმახორციელებელ პირებთან.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა დანართი 1(ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ)გათვალისწინებული პირების პირადი საქმეები. ძირითადა ყველა აკმაყოფილებდა ინდიკატორის მოთხოვნას. დარგობრივი მოდულების ერთ-ერთ განმახორციელებელს, რომელიც ამავდროულად არის პროგრამის ხელმძღვანელი არ უდასტურდებოდა დოკუმენტურად შესაბამისი კომპეტენცია, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი კომპეტენციის დამადასტურებელი საბუთი

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კერძოდ :

ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ ხელმძღვანელის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. არსებული მტკიცებულებები ვერ ადასტურებდა პირის სამუშაო გამოცდილებას. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ცნობა, რომლითაც დასტურდება რომ ხ.ბ. მუშაობს შპს „სამშენებლო კომპანია მოდერნ ჰაუსი“-ში და ასრულებს საყალიბე და რკინაბეტონის სამუშაოებს. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგობრივი კომპეტენცია, უხელმძღვანელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. პროგრამის ხელმძღვანელს გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში, აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოებთან და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ცვლილებები პროგრამაში მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის საბიბლიოთეკო სივრცე, გადამოწმდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მოხდა გასაუბრება ბიბლიოთეკართან, დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ელექტრონულ მატარებლებზე. კოლეჯის ელექტრონული წიგნების

კატალოგი ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი“ მოდულის „რკინაბეტონის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია“ , სწავლის შედეგი 2 – „მარტივი კვანძების და დეტალების კომპიუტერული პროგრამით გამოხაზვა“ - ითვალისწინებს კომპიუტერული პროგრამის - AutoCAD-ის გამოყენებას, მოდულში მითითებული სასწავლო რესურსი არასაკმარისი იყო ამ სწავლის შედეგის მიღწევისთვის. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულ მოდულში არსებულ ჩამონათვალს დაემატოს შესაბამისი სასწავლო რესურსი სწავლის შედეგი 2-ის – „მარტივი კვანძების და დეტალების კომპიუტერული პროგრამით გამოხაზვა“ - სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით. დაწესებულებამ განახორციელა ცვლილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი“ მოდულში „რკინაბეტონის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია“ სასწავლო რესურსების ჩამონათვალს დაემატა: პოზიცია 7. მ.კუბლაშვილი,ნ.ფილფანი, ვ.ჭანკოტაძე "კომპიუტერული გრაფიკის საფუძვლები", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი AutoCAD 2008 ბაზაზე)“ ბაზაზე). დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 18 ივლისის N293 ბრძანებით დამტკიცებული კორექტირებული დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროგრამაში მითითებული რესურსის არსებობა კოლეჯის ბიბლიოთეკაში. მითითებული ლიტერატურა/მასალები ხელმისაწვდომის ნაწილი ელექტრონული სახით, ნაწილი მატერიალურად. აღრიცხულია კატალოგში და დამუშავებულია შესაბამისი წესით. კოლეჯმა ასევე უზრუნველყო დამატებული რესურსის მოძიება და ბიბლიოთეკაში განთავსება.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების შენობა ნაგებობები ადაპტირებულია და პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია სსსმ პირებისათვის. დაწესებულებაში არსებული(დამტკიცებული) რეგულაციები ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის საკითხს.რეგულაციის თანახმად: იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა პროგრამის ბიუჯეტი სრული თანხით 73926ლარი. რომელიც დათვლილი იყო 15 პროფესიული სტუდენტის გათვლით, თუმცა რენტაბელობის ზღვრარი მითითებული იყო 5 პროფესიული სტუდენტი. ხარჯების სახეობები წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად

შრომის ანაზღაურება	44500 ლარი
სასწავლო მასალა	6926ლარი
ოპერაციული ხარჯები	22500ლარი

შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა დაზუსტებული ბიუჯეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სადაც გათვლა გაკეთდა 10 პროფესიულ სტუდენტზე და საერთო ხარჯი გაითვალა 65646 ლარი

შრომის ანაზღაურება	51220ლარი
სასწავლო მასალა	6926ლარი
ოპერაციული ხარჯები	7500ლარი

წინა ბიუჯეტისგან განსხვავებით 10 პროფესიული სტუდენტისათვის გაიზარდა შრომის ანაზღაურება 6720 ლარით. სასწავლო მასალა იგივე თანხა დარჩა, ლოგიკურად ეს თანხა უნდა დაკლებულიყო, ხოლო ოპერაციული ხარჯები შემცირდა 15000 ლარით. ასევე წარმოდგენილ ბიუჯეტებში განსხვავდება პროგრამის ღირებულება. ამ საკითხზე კომუნიკაცია ვეღარ მოხერხდა ვიზიტის ფარგლებში.

განმეორებით წარმოდგენილ ბიუჯეტშიც რენტაბელობის ზღვარი მითითებულია 5 სტუდენტი. ექპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უნდა დაზუსტდეს ბიუჯეტი. დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი დახარვეზდა, თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებულ დასკვნასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილი აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის დაზუსტება. აქტივობის ვადა განსაზღვრულია 30.11.2024 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ინდიკატორი 2.2.1.7 მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთ ვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების წესი სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის“ დირექტორის ბრძანება- 2021 წლის 7 აპრილის N1 5ა ვ).
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები.
- კოლეჯის „სპექტრი“ ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკის შემოვლის ბარათი. კოლეჯის დირექტორის ბრძანება N75-ა, 2020 წლის 7 ოქტომბერი.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების თანხმობის წერილები;
- პროგრამის განხორციელებისთ ვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო გარემოს შესახებ;
- კომპანია ინსთან დადებული ხელშეკრულება; და კომპანიის სასწავლო საწარმოს სტატუსის დამადასტურებელი წერილი
- მატერიალური რესურსის შეძენის მიღება-ჩაბარების აქტი (რკინა ბეტონის სამუშაოების წარმოება)
- ხელშეკრულება საწარმოსთან შპს „ინსი“ (ს/კ ს/კ: 206278516);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ დანართი 4 - მატერიალური რესურსი
- და სასწავლო გარემო;
- შპს პი.ემ.ჯი-სთან გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტი N354/1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს „სამშენებლო კომპანია მოდერნ ჰაუსი“-ს მიერ გაცემუცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- გასაუბრებით

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;კერძოდ:სსიპ კოლეჯის ,,სპექტრის“ დირექტრის 2021 წლის 7 აპრილის № 16 ა ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის გამოკითხვის ბარათები და პროცედურები, პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება,დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის მართვის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/პროგრამების კოორდინატორის და სხვა პირების მიერ; ხდება რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - პროგრამის განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა.

პროგრამის შეფასებას თავ-თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, ხარისხის მართვის მენეჯერი, რისთვისაც ისინი გამოიყენებენ სხვადასხვა მეთოდებს. პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმების გამოყენებით ელექტრონულ გამოკითხვებს, სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდს და სხვა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარების ფორმები,

არსებული მექანიზმის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას კოლეჯის მხრიდან.

პროგრამაში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, საკანონმდებლო ცვლილებების, პროგრამის გაუმჯობესების, დახვეწის, უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ხარისხის შეფასება გულისხმობს უპირველესად საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსის განვითარებას, დაინტერესებული მხარეების კვლევების ჩატარებას, პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით ანგარიშგების წარდგენასა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამების განვითარებას.

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან საუბრისას დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ უფრო გააზრებულად შეიტანენ ცვლილებებს. დახვეწენ, გაამრავალფეროვნებენ მოდულების თემატიკას, დაამატებენ სასწავლო რესურსს, განავითარებენ მოდულის განხორციელების მიდგომებს, გადახედავენ საათების გადანაწილებას. საჭიროების შემთხვევაში შეცვლიან ან დაამატებენ პროფესიული განათლების მასწავლებელს და სხვა. გააანალიზებენ მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და დააიდენტიფიცირებენ გასაუმჯობესებელ საკითხებს. ეს შეეხება როგორც უშუალოდ პროგრამას, ასევე სასწავლო გეგმას. გაითვალისწინებენ პრაქტიკის ობიექტების/პარტნიორი საწარმოებისა და იმ დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებს.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ - კოლეჯში "სპექტრი" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის გამოკითხვის ბარათებისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის" დირექტორის - 2021წლის 7 აპრილის N 16 ა ბრძანება;
- პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების წესი სსიპ კოლეჯი სპექტრის - დირექტორის ბრძანება N 35ა (13 ივლისი.2021 წ)
- გასაუბრებით
- კითხვარებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; კერძოდ: დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება," დანართი 3-ით

წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა.რომელშიც გაწერილია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტების ყოველკვირეული დატვირთვა. განსაზღვრულია საათები დამოუკიდებელი და საკონტაქტო სწავლებისა და შეფასებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ მოდული „რკინაბეტონის სამუშაოების წარმოების წესები და უსაფრთხოების პრინციპები“, მოიცავს თეორიულ საკითხებს და განხორციელება დაგეგმილია კოლეჯში. სასწავლო გეგმაში გაწერილია ორი წლის განმავლობაში. მოდულის შინაარსის და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით და პროფესიული სტუდენტებიპრაქტიკულ კომპონენტებს ითვისებენ რეალურ სამუშაო გარემოში, მიზანშეწონილია მოდულის „რკინაბეტონის სამუშაოების წარმოების წესები და უსაფრთხოების პრინციპები“ დაგეგმვა იმგვარად, რომ სტუდენტები უკვე თეორიული ცოდნით აღჭურვილები გავიდნენ სამუშაო გარემოში. აღნიშნულ საკითხზე ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავე დროს დარგის წარმომადგენელია და დასაქმებულია სამშენებლო კომპანიაში რკინაბეტონის სამუშაოების შემსრულებლად. პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ კარგი იქნება რეალურ სამუშაო გარემოში მოხვედრამდე მიიღოს ცოდნა პროფესიულმა სტუდენტმა რკინაბეტონის სამუშაოების წარმოების წესებისა და უსაფრთხოების პრინციპების შესახებ. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმაში მოდულების განხორციელების თანმიმდევრობის და საათების განაწილების დროს გაითვალისწინოს აღნიშნული.

კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო გრაფიკის შესაბამისად. მეცადინეობათა ცხრილი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილსა და ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, სასწავლებელი მოქნილად ირეაგირებს აღნიშნულ გარემოებებზე და სტუდენტებს შეუქმნის მათ ინტერესებზე მორგებული პირობებს ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობას - საჭიროების დადგომის შემთხვევაში სწავლების ფორმატის სასწავლო პროცესზე მორგებას. სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაციაც, რაც გულისხმობს სტუდენტის საჭიროებაზე მორგებული გეგმის შემუშავებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.კოლეჯი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას.სწავლება-სწავლის მეთოდები და სწავლების დუალური ფორმა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის ხელფასი. სასწავლო პროცესში სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით არის დარეგულირებული კოლეჯ სპექტრის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, მობილობის, შეწყვეტისა და შეჩერების წესიც

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; კერძოდ:პროგრამა დუალურად განხორციელდება პარტნიორ კომპანიასთან შპს „ინსი"-სთან ერთად, რაც უზრუნველყოფს დარგის შესაბამის ტექნოლოგიების გამოყენებას. ტელეფონით განხორციელდა ექსპერტების გასაუბრება აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელთან- საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართული პროფესიული უნარების სააგენტოსთან ერთად, შერჩეულია პირი სასწავლო საწარმოდან - ინსტრუქტორი, საწარმო მზადაა საგანმანათლებლო პროგრამა „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება" დუალური მიდგომით. კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული პროფესიული მოდულების მასწავლებლების ნაწილი დარგის მოქმედი სპეციალისტებია, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს და მოთხოვნებს. პროფესიული განათლების მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულ პირებს აქვთ თანამედროვე მეთოდებით სწავლების სათანადო კომპეტენცია.

ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; კერძოდ: კოლეჯში დამტკიცებულის ბრძანებით, გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია,რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. რეგულაცია გულისხმობს გეგმის შედგენას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.ინდივიდუალური გეგმას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს გაუწევენ შესაბამისი პირები.

ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

დაწესებულებას პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელის“ განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასწავლო საწარმოს სტატუსის მქონე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან „ინსი“(ს.კ.206278516)

იხ.ინდიკატორი**2.1.1.3**

ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სსიპ კოლეჯ სპექტრის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესში გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები, სამედიცინო დახმარების აღმოჩნის პროცედურები. კოლეჯი თანამშრომლებს რეგულარულად უტარებს საინფორმაციო შეხვედრები და ინსტრუქტაჟებს. პრაქტიკის ობიექტთნ(სასწავლო საწარმოსთან) დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უსაფრთხო სწავლების ნაწილში, სასწავლო საწარმოს ბაზაზეც დაცულია უსაფრთხოების ნორმები

ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ- კოლეჯში "სპექტრი" უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესისა და სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯი სპექტრის - დირექტორის ბრძანება N 8ა (30 იანვარი 2024 წ)
- სსიპ- კოლეჯში "სპექტრი" უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესისა და სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ; სსიპ კოლეჯი სპექტრის - დირექტორის ბრძანება N 8ა (30 იანვარი 2024 წ)
- კომპანია „ინსთან“ დადებული ხელშეკრულე ბა; და კომპანიის სასწავლო საწარმოს სტატუსის დამადასტურებელი წერილი

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“. აღნიშნული წესი არეგულირებს შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს, გაწერილია განმეორებითი შეფასების წესი და აპელაციის რეგულაციები. წესში გარკვეულწილად იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი: წესის თანახმად პროგრამის დაწყებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი სასწავლო გეგმის საფუძველზე ადგენენ მოდულების დაწყება-დამთავრების განრიგს(პუნქტი 2.1.).მოდულების დაწყება-დამთავრების განრიგის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს შეფასების გეგმას, გეგმავს შეფასების აქტივობებს და განხორციელების დროს, ათანხმებს პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე, მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან და აწვდის კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად(პუნქტი2.2.).

ხარისხის მართვის მენეჯერი ასევე მონაწილეობს საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვაში. წესის თანახმად „საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნის მიზნით **ხარისხის მართვის მენეჯერი** (სასწავლო პროცესის მენეჯერს სვამს ვიზირებაში) საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის, ჩატარების ადგილის და გამოცდის ჩატარების თარიღის დამტკიცების შესახებ მიმართავს კოლეჯის დირექტორს(პუნქტი 5.5.)“.

ამ წესის მე-5 მუხლის 5.6 პუნქტში მითითებული სამსახურებრივი ბარათის განხილვის შემდგომ **ხარისხის მართვის მენეჯერი** (დირექტორის მოადგილეს სვამს ვიზირებაში) კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხებსა და საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობას.(პუნქტი 5.7.) საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია შედგება მინიმუმ 5 წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: 1) პროგრამის ხელმძღვანელი, ან დირექციის წამომადგენელი, ან **ხარისხის მართვის მენეჯერი;** 2) ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი (მენეჯერი), 3) ამ წესის მე-5-ე მუხლის 5.6 პუნქტით განსაზღვრული მასწავლებელი; 4) კომპანიის წარმომადგენელ(ებ)ი 5) იმავე პროგრამის სხვა მოდულ(ებ)ის მასწავლებელი ან/და მოწვეული სპეციალისტ(ებ)ი.(5.8.)

მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, ასევე გასაუბრებისას კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა და დირექტორის მოადგილემ განაცხადეს რომ აღნიშნული მექანიზმის მიხედვით ჯერ ვერიფიკაცია არ განუხორციელებიათ, შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი ვერიფიკაციის მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის მართვის მენეჯერი ხელმძღვანელობს ვერიფიკაციას, რაც გულისხმობს შეფასების სისტემის შემოწმებას, თავად მონაწილეობა იმ პროცესებში ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, ინტერესთა კონფლიქტი გამოვლინდა სხვა რეგულაციაშიც, შესაბამისად დაწესებულებამ უნდა გადახედოს და განაახლოს რეგულაციები. კოლეჯმა დროულად უნდა განახორციელოს ვერიფიკაციის პროცესი, რაც საშუალებას მისცემს კოლეჯს შეაფასოს რამდენად გამართული, ვალიდური, სანდო, მოქნილი და გამჭვირვალეა შეფასების სისტემა.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი შედგენილია: სხვა რეგულაციებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბერის და №152/ნ ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული წესი აღარ არის მოქმედი, შესაბამისად დაწესებულებამ რეკომენდებულია შეიტანოს ცვლილება. დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი დახარვეზდა, თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებულ დასკვნასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილი აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის“ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. აქტივობის ვადა განსაზღვრულია 30.08.2024 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ინდიკატორი 2.4.2.1. მეტწილ შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ: დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“ აღნიშნული წესის მესამე მუხლი არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. წესის თანახმად ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის წარდგინებით და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში არ შედის შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტის ავტორი ან/და ინსტრუმენტით მოსარგებლე შემფასებელი). შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას. ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. წინასწარ შემუშავებული ფორმის საშუალებით (დანართი №1).

ვერიფიკაციის მიზნებისთვის გამოყენებული დანართი №1 იწარმოება და ინახება ელექტრონულად ხარისხის მართვის მენეჯერთან.

ვერიფიკაციის პროცესის შედეგად ეტაპობრივად მოგროვებული ინფორმაცია აისახება ვერიფიკაციის ანგარიშებში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერ შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს/განმახორციელებელს.

ინდიკატორი 2.4.4.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესის შესაბამისად. მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები უვადოდ.

ინდიკატორი 2.4.4.3 შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯში არსებული რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც,განმახორციელებელი პირი პროფესიულ სტუდენტებს ყოველთვის აძლევს უკუკავშირს, ხდება მასწავლებლებს შორის შეფასების შედეგების განხილვა. მიღებულ შედეგებს დაწესებულება იყენებს შემდგომი განვითრებისათვის. ამავე მიზანს ემსახურება დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი, მასში აღიწერება შესასრულებელი სამუშაო და ინსტრუქტორის მითითებები,

ინდიკატორი 2.4.4.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი;
- დასწრების აღრიცხვის ფორმის დამტკიცების დამტკიცების შესახებ. (დანართი 16) დირექტორის ბრძანება N 52ა (2 ივლისი 2024 წ)
- პროფესიული საგანამანათლებლო (დუალური) პროგრამის პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის, დასწრების აღრიცხვის ფორმის დამტკიცების შესახებ. სსიპ კოლეჯი სპექტრის - დირექტორის ბრძანება N 122ა (22 დეკემბერი 2022 წ)
- ვიზუალური დათვალიერებით
- გასაუბრებით

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

.....

.....

.....

09.08.2024

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: